ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №3

ქ. ლანჩხუთი 03.04.2023.

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ია მოქია, სპარტაკ კვაჭაძე, გიორგი ჩახვაძე და ვლადიმერ ნანაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ.** მან აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა განიხილა ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის მოხსენებითი ბარათი და მიზანშეწონილად ჩაითვალა ქ. ლანჩხუთში ცენტრალურ მოედანზე (წრიულზე) მდებარე საათის დემონტაჟი და მის ადგილზე სახელმწიფო დროშის აღსამართად შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, საორიენტაციო ღირებულებით 23000 ლარი. პროექტის დაფინანსება უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 17 მარტის N545 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი გრანტით.

როლანდ ლაშხიამ დეტალურად ისაუბრა ყველა იმ ცვლილებაზე, რომელიც წარმოდგენილი იყო მოცემულ საკითხში. მან აღნიშნა, რომ ტექომეტრის (ჯიპიეს მოწყობილობა) შეძენა უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 17 მარტის N545 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი კაპიტალური გრანტით, საორიენტაციო ღირებულებით 35000 ლარი. ქალაქის, სოფ. მაჩხვარეთის და სოფ. ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში გზების რეაბილიტაციაზე უნდა მიიმართოს 20508,07 ლარი საქართველოს მთავრობის 11.03.2021 წლის N330 განკარგულების ნაშთიდან, ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ჭალაში მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე საჭიროა მიიმართოს 308566 ლარი, მათ შორის 29.12.2022 წლის N2475 განკარგულებით 293137 ლარი და საბიუჯეტო სახსრებით 15429 ლარი. საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დაფინანსება უნდა გაიზარდოს 1011829,82 ლარით. მერიის საქონელი და მომსახურების ხარჯი-16571 ლარით. ცელიაკით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა საჭიროა გაიზარდოს 3000 ლარით. უნდა დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის მოთხოვნა 50000 ლარის დამატებით დაფინანსების გამოყოფის საკითხი და ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდეს ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების 50000 ლარის შემცირების ხარჯზე, ვინაიდან ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების

განხორციელება გათვალისწინებული იქნა მიმდინარე წლის პირველი აპრილიდან და დაფინანსება განისაზღვრება 150000 ლარის ფარგლებში. ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის დამტკიცებულ ასიგნების ფარგლებში სხვა ხარჯების მუხლის 5000 ლარის შემცირების ხარჯზე უნდა გაიზარდოს საქონელი და მომსახურების ხარჯი 4050 ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლი 950 ლარით. ა(ა)იპ სპორტული ცენტრის დაფინანსება დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში საქონელი და მომსახურების ხარჯი უნდა შემცირდეს 912 ლარით და გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ხარჯი 912 ლარით.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ქ. ლანჩხუთი 03.04.2023 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №3

2023 წლის 3 აპრილს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

03.04.2023 წელი
15:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	14 50	
2	ია მოქია	14:50	
3	გიორგი ჩახვაძე	14 50	
4	სპარტაკ კვაჭაძე	14 55	
5	კახა თედორაძე	არ ესწრებოდა	
6	ვლადიმერ ნანაძე	14 50	
7	გიორგი გოგუაძე	არ ესწრებოდა	
8	ვერიკო კვირკველია	არ ესწრებოდა	
9	ჯუმბერ ბლაგიძე	არ ესწრებოდა	